

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №4

ქალაქი ქუთაისი

15 აგვისტო, 2018 წელი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
3. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
4. ალექსანდრე ჩინჩალაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
5. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
6. მეგი ნიჭარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
7. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
8. ნუგზარ კობრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” თავმჯდომარე;
9. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
10. ბენია თხილავა - მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ “ინტელექტი“-ს პრეზიდენტი;
11. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
12. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
13. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
14. გიორგი ოკრიბელაშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
15. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 15, 6 არ ესწრებოდა, საპატიო მიზეზის გამო.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მასში სიითი შემადგენლობის 2/3 მეტი წევრი მონაწილეობდა.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი; ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი; მამუკა კუბლაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

მოწვეული ექსპერტები: ლუკა დვალიშვილი; ზეინაბ კიკვიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ფილოლოგები.

მოწვეული მოქალაქე: ბესიკ ადამია - მონუმენტის “მშვიდობის ბურთის” იდეის ინიციატორი.

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ: ზაზა ჩხიკვაძე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ ნოდარ ჯიქიამ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებულია.

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ნუგზარ კობხეიძე (საბჭოს მდივანი) - ტექნიკური საკითხები: წევრების აქტიურობა, რეგლამენტი, კორესპოდენციის წარმართვა, სამუშაო გეგმა და წევრთა ეფექტური მუშაობისთვის საჭირო ტრენინგების დაგეგმვა.
4. თეთრი ხიდი - ფრაზები. განხილვა. განხილვაზე მოწვეულები არიან ფილოლოგები: ლუკა დვალიშვილი, ზეინაბ კიკვიძე, ნინო ჩიხლაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი.
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესი. განხილვაზე მოწვეულები არიან: ზურაბ ხურციძე, მამუკა კუბლაშვილი, ზაზა ჩხიკვაძე. საბჭოს მხრიდან თანამომხსენებელი: ომარ კიკვიძე.
6. საბჭოს მედიასთან კომუნიკაციის საკითხი.
7. სხვადასხვა: ალუ გამახარია - ინიციატივა; ივეტა შალამბერიძე - თხოვნა ქუჩის შეკეთების თაობაზე; მაკა ცერცვაძე - ფაროსანას შეწამვლის პროცედურასთან დაკავშირებით; ბესიკ ადამია - მშვიდობის ბურთი; ბენია თხილავა - ინფორმაცია კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს შესახებ; თამარ ხეცურიანი - ბოტანიკურ ბაღთან დაგროვილი ნარჩენების თაობაზე; მამუკა თევდორაძე - ქალაქის იერსახე, ნიკვას ქუჩაზე გახშირებული

ავტოსაგზაო შემთხვევის საკითხი, თბილისისკენ მიმავალი ხიდის მიმდებარე გზაჯვარედინზე შუენიშნის დამატებითი სექცია დაყენების საკითხი; ლევან როხვაძე - მწვანე ყვავილას პანთეონის გაფართოება; ქეთი ბერძენიშვილი - ბოშების დასახლებასთან დაკავშირებით ინფორმაცია; ნუგზარ კობრიძე - ასათიანის ქუჩის რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოების თაობაზე.

8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

აზრი გამოთქვას:

ნუგზარ კობრიძე: გააცნო საბჭოს წევრებს, რომ შექმნილია საერთო ელექტრონული ფოსტა (kutaisicc@gmail.com), ასევე სოციალურ ქსელში დახურული სამუშაო ჯგუფი და მოუწოდა ყველას აქტიურობისკენ. ასევე მოახსენა დამსწრეებს, რომ საბჭოს 21 წევრთაგან 12 წევრი აქტიურად მუშაობდა საბჭოს სხდომის მოსამზადებელ საკითხებზე: შემოიტანეს ინიციატივა და წინადადებები. მადლობა გადაუხადა მერის მოადგილეს ნინო თვალთვაძეს და მერის მრჩეველს ზურაბ ხურციძეს სხდომის ორგანიზებაში გაწეული ოპერატიული დახმარებისთვის.

საბჭომ განიხილა თეთრი ხიდის ფილებზე დასატანი ფრაზები, რომლებიც კონკურსის წესით შემოვიდა. განიხილა წარმოდგენილი ფრაზები, მოახდინა მათი ამორჩევა და კორექტირება. გაითვალისწინა საბჭოს სხდომაზე მოწვეული ფილოლოგების ლუკა დვალიშვილის და ზეინაბ კიკვიძის რჩევები და შენიშვნები.

აზრი გამოთქვას: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთი ბერძენიშვილი, ნინო ხუბუა, ნუგზარ კობრიძე, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, ომარ კიკვიძე, გიორგი ჭიჭინაძე, თემურ ამყოლაძე, გიორგი ჭიღვარია, ნინო თვალთვაძე, ზურაბ ხურციძე, ზაზა ჩხიკვაძე.

ლუკა დვალიშვილი (მოწვეული ექსპერტი) - კარგი იქნება წინასწარ დავათვალიეროთ უშუალოდ ტექსტების დატანის კალიგრაფიული პროცესი, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია როგორ იქნება აღნიშნული ტექსტები ასახული ფილებზე. უნივერსიტეტს ჰყავს კალიგრაფისტები და მათ შეუძლიათ დაეხმარონ კომპანიას რომ კარგი შრიფტით და სწორად იქნას დატანილი ტექსტები, რაზეც საბჭოს წევრები მას დაეთანხმნენ.

დაადგინეს: შერჩეული ფრაზები დამატებით შესწორებისათვის და კორექტირებისათვის, ასევე ავტორების მითითებით გადაეგზავნოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგებს, რომლებიც საბოლოოდ დახვეწენ ფრაზებს. დაევალოს ინგა აბრამიძეს გაუწიოს კოორდინირება აღნიშნულ საკითხს და არაუგვიანეს 17 აგვისტოსი მოაწოდოს საბჭოს შემდეგი რეაგირებისათვის.

ჩატარდა კენჭისყრა: ესწრებობდნენ - 15 საბჭოს წევრი. 15 მომხრე.

ფრაზები იხილეთ დანართის სახით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის განხილვისას მოისმინეს ომარ კიკვიძის რეკომენდაციები:

- 1. მუხლი 7.** მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემადგენლობა
5. საინჟინრო ნაწილი დაგეგმარებითი დავალებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოიცავდეს: ჩამონათვალს უნდა დაემატოს:
 - ვ. საპროექტო ტერიტორიაზე სატელეფონო კავშირის და ინტერნეტის ქსელის რუკას,
 - ზ. საპროექტო ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების ქსელის განვითარების რუკასმიზანშეწონილია იგივე შინაარსის ჩანაწერი დაემატოს მუხლი 8. პ.3, მუხლი 9. პ.9 და მუხლი 10.პ.3
- 2. დოკუმენტში (მუხლი 26 პ.3 და სხვ.)** გამოყენებულია ზოგადი ჩანაწერი - ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო. უმჯობესია ჩაიწეროს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური
- 3. კ1 და კ2 კოეფიციენტების ცვლილება (გადამეტება)** შესაძლებელია რამდენიმე გზით(მუხლი 24 პ.3, მუხლი 25, მუხლი 26), რაც არ არის გამართლებული, რადგანაც იზრდება კოეფიციენტების ცვლილების ალბათობა სუბიექტური ფაქტორით. უმჯობესია კოეფიციენტების ცვლილება განხილული და მიღებული იქნეს განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს მიერ და შესაბამისად გათვალისწინებული იქნეს მუხლი 27-ში.
- 4. მუხლი 45** მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ ფასადების შემდგომი მოვლა-ექსპლუატაციის ვალდებულების პერიოდი განისაზღვროს 2 წლით. სპეციალისტებთან კონსულტაციებით მიზანშეწონილია ჩაიდოს 4-5 წელი.
- 5. დოკუმენტში** ნაკლებადაა წარმოდგენილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ამავე დროს **მუხლი 2.** პპ.3,4,5,6,7 -ის მოთხოვნებით ქუთაისის ტერიტორიების ნებისმიერი ფორმით გამოყენება, ქალაქმშენებლობითი განვითარება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.** დოკუმენტში **მუხლი 20** -ში მე 13 პოზიციაზე მოცემულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ-1), რომელიც მოიცავს: ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) გამწვანებულ გზაგამყოფებს, უსაფრთხოების კუნძულებს და არ არის მინიშნებული შესაბამისი ნორმები. **მუხლი 20** -ში მე 14 პოზიციაზე მოცემულია სატრანსპორტო ზონა 2 (ტრ-2), რომელიც მოიცავს ავტოსადგურებს, აეროსადგურს, სარკინიგზო სადგურს...

და არ არის მინიშნებული შესაბამისი ნორმები. არც სხვა დოკუმენტია მინიშნებული, სადაც მოცემულია ნორმები მიღებული ქ.ქუთაისისათვის ან სახელმძღვანელო დოკუმენტი. ეს ნორმები აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების მკვეთრი ზრდით გამოწვეული პრობლემების (პარკირება, საცობები, ეკოლოგია) გადაწყვეტისათვის, ქალაქში ავტოსადგურების მწვავე პრობლემის (ჭავჭავაძის გამ.-ზე) გადაწყვეტისათვის და სხვ. მნიშვნელოვანია სატრანსპორტო (საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო) ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები. ეს ინფორმაცია აუცილებელია ასევე გენგეგმის შედგენისათვის.

აზრი გამოთქვას: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთი ბერძენიშვილი, ნინო ხუხუა, ნუგზარ კოხრეიძე, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, ომარ კიკვიძე, გიორგი ჭიჭინაძე, თემურ ამყოლაძე, ნინო თვალთვაძე, ზურაბ ხურციძე, ზაზა ჩხიკვაძე.

დაადგინეს: მიღებული იქნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესი ომარ კიკვიძის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ჩატარდა კენჭისყრა: 14 საბჭოს წევრი. 14 მომხრე.

საბჭომ განიხილა საბჭოს მედიასთან კომუნიკაციის საკითხი.

აზრი გამოთქვას: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთი ბერძენიშვილი, ნინო ხუხუა, ნუგზარ კოხრეიძე, გიორგი ჭიჭინაძე.

დაადგინეს: საბჭო ღია ყველა მედია საშუალებისთვის და მხარს უჭერს მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ღიაობას. მიაჩნია, რომ მერიის პრესსამსახურმა აქტიურად უნდა უზრუნველყოს საბჭოს სხდომებზე მედიის მოწვევის საკითხი და ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობის მედიაში ფართო გაშუქებას. საბჭოს წევრები აქტიურად ითანამშრომლებენ მედიასთან და გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ სხვადასხვა საშუალებებს, რათა საზოგადოების მეტი წარმომადგენელი იყოს ინფორმირებული საბჭოს მუშაობის თაობაზე.

საბჭომ განიხილა ალუ გამახარის ინიციატივა ვასილ გურჯუას ბარელიეფის გახსნის შესახებ.

მოსაზრება გამოთქვა:

თემურ ამყოლაძე - პატივების კომისიამ უარი არ უთხრა და დაავალა, რომ შეისწავლის. ვასილ გურჯუა იყო სასწავლებლის მოსწავლე. ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს მის შესახებ და რომ იგი იყო დაფუძნებელთა საბჭოს

წევრი არ არის საკმარისი ბარელეფის გათავსებაზე თანხმობის მისაცემად. კიდევ ვაპირებთ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე.

დაადგინეს: დამატებითი ინფორმაცია ვასილ გურჯუა შესახებ იქნას შესწავლილი და განიხილოს მომდევნო სხდომაზე. დაველოდოთ პატვების კომისიის პასუხს.

მოისმინეს ქეთი ბერძენიშვილის ინფორმაცია ბოშების თხოვნის თაობაზე, რომ მოხდეს კანალიზაციის მოწესრიგება და შეხვედრის ორგანიზება მერიის წარმომადგენლებთან. ასევე ქეთი ბერძენიშვილმა მიაწოდა საბჭოს ინფორმაცია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მან ესაუბრა ქალაქის მერს გიორგი ჭიღვარიას, რომელმაც განახცადა რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები შეხვედებიან ბოშების დასახლების მაცხოვრებლებს, ხოლო კანალიზაციის საკითხი წელს ვერ მოწესრიგდება, რადგან ძვირი ჯდება მისი გაკეთება.

მოისმინეს ბესიკ ადამიას ინიციატივა მშვიდობის მოედანზე, ტორპედოს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, “მშვიდობის ბურთის” კონსტრუქციის განთავსების თაობაზე.

წერილობითი მოსაზრება საბჭოს ამბერკი დვალიშვილმა მიაწოდა, რომელიც საბჭოს მდივანმა გააცნო საბჭოს წევრებს:

ბატონი ამბერკი მიესალმება აღნიშნულ იდეას, რადგან მიაჩნია, რომ კონსტრუქციის თვალსაზრისით რთული გასაკეთებელი ის არ არის და ეთანხმება მის დაყენებას ტორპედოს სტადიონთან.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს “მშვიდობის ბურთის” მშვიდობის მოედანზე დაყენების იდეა და მიეცა რეკომენდაცია ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციას განიხილოს აღნიშნული იდეა.

საბჭომ მერიის ადმინისტრაციის წინაშე დააყენა მოქალაქეების ივეტა შალამბერიძის, მაკა ცერცვაძის, თამარ ხეცურიანის, მამუკა თევდორაძის მიერ წარმოდგენილი საკითხები, რაზეც შემდეგი პასუხები მიიღო:

ივეტა შალამბერიძე - თხოვნა ქუჩის შეკეთების თაობაზე:

გაბაშვილის N 14-ში ამ ეტაპზე მიმდინარეობს საყრდენი კედლის მოწყობა. კედლის სამუშაოების დასრულების შემდეგ მთელს ქუჩაზე განახლდება ასფალტის დაგების სამუშაოები.

მაკა ცერცვაძე - ფაროსანას შეწამვლის პროცედურასთან დაკავშირებით:

ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოების ქუთაისის მასშტაბით რამდენიმე უბანში განხორციელდა სამოქმედო ზონა მოსახლეობის მოთხოვნის მიხედვით შეირჩა. სურსათის უვნებლობის სააგენტოს სამსახურებმა, უბნებში შეწამვლითი სამუშაოები, თერმული ნისლით აწარმოეს, რომელიც არ არის საშიში ადამიანის ჯანმრთელობისთვის თუ მას რაიმე სახის გამოკვეთილი ალერგიული ფონი არ აღენიშნება.

თამარ ხეცურიანი - ბოტანიკურ ბაღთან დაგროვილი ნარჩენების თაობაზე:

ეს გახლავთ კერძო ტერიტორია და შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს უფლება ნებართვის გარეშე შევიდეს კერძო საკუთრებაში და დაასუფთავოს.

მამუკა თევდორაძე - ქალაქის იერსახე, ნიკეას ქუჩაზე გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევის საკითხი, თბილისისკენ მიმავალი ხიდის მიმდებარე გზაჯვარედინზე შუქნიშნის დამატებითი სექცია დაყენების საკითხი:

აღნიშნული ტერიტორია ეკუთვნის საგზაო დეპარტამენტს და დადგენილი წესების თანახმად იქ დამატებითი შუქნიშნის დამონტაჟება დაუშვებელია. რაც შეეხება ქალაქის იერსახეს ამ კუთხით მერიის, ინფრასტრუქტურის სამსახური ყოველდღიურად აქტიურ რეჟიმში მუშაობს და ამაში ჩართულია ასევე სხვადასხვა სამსახურები. მიმდინარეობს ქუჩების რეაბილიტაცია, ასევე აქტიურად განიხილება ქალაქის ისტორიული იერსახის აღდგენა. დაწყებულია მოლაპარაკებები რიონისპირა სახლების რეაბილიტაციაზე, რათა სრულად მოწესრიგდეს რიონის სანაპირო და ის არამხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ტურისტული ატრაქციაც გახდეს. რაც შეეხება ქაოტურ მშენებლობებს ამ კუთხით შემოდის ახალი რეგულაციები, რომელიც შენობების კოეფიციენტებს განსაზღვრავს და მშენებელს არ ექნება უფლება დადგენილი წესები დაარღვიოს. შესაბამისად ქალაქში აღარ მივიღებთ უსახურ შენობებს და ქაოტურ მშენებლობებს. რაც შეეხება ნიკეას გზას, ქუთაისის მერიამ დაახლოებით 2 თვის უკან აღნიშნულ გზაზე დამატებითი საგზაო ნიშნები განათავსა, რათა მძღოლებისთვის საგზაო მოძრაობა გაადვილებულიყო.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე *ნ. ჯიქია* ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი *ნ. კობახიძე* ნუგზარ კობახიძე